საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია — მთავარ კომიტეტის ორგანო

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 45,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე 150,000 მ.; უკანასკნელზე 100,000 მ. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 10—85.

ფასი 5000 მან.

№ 171
შაბათი, მარტის 18
1922 წ.

ყოველდღიური გაზეთი
ტრიბუნა
ორგანო მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის მთავარი კომიტეტისა.
1922 წლის 1 იანვრიდან თვეში გაგზავნით ღირს 120,000 მანეთი.
ცალკე ნომერი ყველგან 5000 მანეთი.
უფასოდ გაზეთი არავის გაეგზავნება.
ხელის მოწერა მიიღება თვის 1 რიცხვიდან.
რედაქციის და კანტორის მისამართი: ტფილისი, სასახლის ქ. № 6.

კვირას, მარტის 12-ს, ქ. ტფილისში ტრაგიკულად გარდაიცვალა

კოწია ივანეს ძე

ჯანუაშვილი,

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს დაი მისი ოლღა ივანეს ასული, სიძე მიშიკო ელიზბარის ძე და დისწულები ვერა, ლიუბა, ელენა და ივანიკო ქებაძეები. პანაშვიდი გადახდილი იქნება ქვაშვეთის ეკლესიაში—შაბათს მარტის 19 ს დღის 12 საათზე.

234

კვირას 19 მარტს, ქაშვეთის ეკლესიაში, დილის 12 საათზე გადახდილი იქნება პანაშვიდი წლის თავზე ბათომის ფორტებზე ქემალისტებთან ბრძოლაში გმირულად დაღუპულ ძვირფას ამხანაგის

შოთა (შალვა)

ვადაჭკორიასი

რასაც აუწყებს ქართველ საზოგადოებას მისი ამხანაგები სიმონ ხუნდაძე, კოწია ლორთქიფანიძე, ნიკოლოზ აბესაძე, შალვა ჩიქვილაძე, ვალიკო ბრეგაძე, ანდრო საყვარელიძე, შალვა აბხაიძე და იპოლიტე ვადაჭკორია.

განცხადება

ტფილისის აღმასკომის საფინანსო-საბიუჯეტო კომისია ქალაქის დარაბების მოიჯარადრეთა საყურადღებოდ აცხადებს,

რომ უკანასკნელი ვადა ამ წლის თებერვლის და მარტის თვეების საიჯარო ფულის შეტანისა დანიშნულია ამა წლის მარტის 15-დან 25-მდე, რისთვისაც წინადადება ეძლევათ მოიჯარადრეთ დროზე იზრუნონ ფულის შეტანაზე, უკანასკნელ შემთხვევაში მოიჯარადრეებს დარაბები სრულიად ჩამოერთმევათ.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია.

განცხადება

ქ. ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ ყველა ვაჭრობა-მრეწველობის ნებართვის უქონლობის გამო, ადმინისტრაციის მიერ დაბეჭდილი მაღაზიები, თუ მათ მეპატრონეები დღიდან დაბეჭდვისა 7 დღის განმავლობაში არ აიღებენ ვაჭრობა-მრეწველობის უფლების ნებართვას, სრულიად ჩამოერთმევა მეპატრონეებს და გადაეცემა საექსპლოატაციოთ ახალ მოიჯარადრეებს, ხოლო დაბეჭდილ მაღაზიებში აღმოჩენილი საქონელი კი გაიყიდება საჯარო ვაჭრობით ქალაქის ინტერესების დასაკმაყოფილებლად.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია.

განცხადება

ქ. ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის,

გადასახადთა ბიუროს და მისი რაიონულ აგენტების მოქმედებათა შესახებ დაარსებული საგანგებო-საგამომძიებლო კომისია ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის, გადასახადთა ბიუროს და მისი რაიონულ აგენტების მიერ მაღაზიების განაწილების დროს დაშვებულ უკანონო და ბოროტმოქმედებათა შესახებ ყოველგვარ განცხადება-საჩივრებს კომისია იღებს ა/წ. 25 მარტამდე. ყველა პირები, რომლებმაც კი იციან ასეთი ბოროტ-მოქმედებანი ანუ იზარალეს მათგან, ვალდებულნი არიან აღნიშნულ დრომდე მიაწოდონ საგამომძიებლო კომისიას სათანადო განცხადება.

საგანგებო საგამომძიებლო კომისია.

დამშეულთათვის

ორი წლის მოუსავლობამ საქართველოში ეხლა იჩინა თავი, აქამდე სიძვირეს ვჩიოდით; ეხლა უკვე სიმშილობასთან გვაქვს საქმე. საქართველოს ზოგიერთ მაზრებში უკვე გამოილია პური და სიმინდი. მშრომელი გლეხობა დღემდის გაჭირვებით, დიდი ვაი-ვაგლახით შოულობდა ლუკმა პურს და სანახევროდ მაინც ჰკვებავდა ცოლშვილს. დღეს გაჭირვებით ცხოვრებაც აღარ შეუძლია, ვინაიდან სურსათი დამშეულ კუთხეებში არ იშოვება.

რასაკვირველია შეძლებულ გლეხს სოფლის დამშევა დიდად არ შეაწუხებს. ის მაინც იშოვნის პურს, თავისიც რომ გამოელიოს. სულ სხვაა ღარიბი გლეხის მდგომარეობა. ღარიბ გლეხს არავითარი საშუალებით არ შეუძლია თავის „და ოჯახის გამოკვება დამშეულ მხარეში. ის პირდაპირ სიმშილით უნდა ამოწყდეს.

ასეთ მდგომარეობაში დღეს შორაპნის, რაჭის და ლეჩხუმის მაზრები, აგრეთვე ზემო გურია და ბორჯომის ხეობა. შემდეგში ჩვენი ქვეყნის სხვა ადგილებშიაც იჩენს თავს სიმშილობა. და დატრიალდება პატარა საქართველოში სიკვდილის სული... აწრიალდება ქალი და ბავშვი, დიდი და პატარა. საზარელი სურათი უდგება კაცს თვალწინ... საშინელებაა მოსალოდნელი!

არა, ეს არ მოხდება ჩვენში! ჩვენ არ გავსწირავთ ჩვენ ძმებს, არ ჩავყრით მათ სიკვდილის კლანჭებში! ჩვენ მათ აუცილებლად ვიხსნით განადგურებისაგან. ჩვენ ეს შეგვიძლია, შედარებით ძლიერ ადვილად: საკმარისია ლუკმა გავუყოთ დამშეულებს. მართალია მაძღარი არც ჩვენა ვართ, დიდი ლუკმა არ გაგვაჩნია, მაგრამ ცოტაოდენი წილის გაღება მაინც შეგვიძლია. ძალიან გაგვიჭირდება ეს, მაგრამ გადავიტანთ.. უმჯობესია ყველას გაგვიჭირდეს, ყველას გვშიოდეს, ოღონდ ყველა ცოცხლები დავრჩეთ, ვინემ თუ გინდ ერთი მაზრის უღარიბესი გლეხობა გაწყდეს და ჩვენ ცოტა-უფრო მაძღარი ვიყოთ.

საჭიროა უხვი დახმარება და ჩვენც აქეთ მოუწოდებთ ქართველ ხალხს. დღეს იწყება მთელ საქართველოში დამშეულთათვის დახმარების შეკრება და გაგრძელდება სამ დღეს. გავიღოთ ყველამ რაც შეგვიძლია!

ამხანაგებო და მოქალაქენო! საქართველოს ხალხის გამომკვები გლეხები და მუშები გასული წლის მოუსავლობის გამო სიმშილით სიკვდილის წინაშე დგანან. ყოველი მოქალაქის მოვალეობაა ყოველმხრივ აღმოუჩინოთ დახმარება დამშეულთ.

18 მარტის 1871 წელი

„18 მარტს 1871 წელს პარიზი ადსდგა საზიზღარ და მძულვარე მთავრობის წინააღმდეგ და თავი თავისუფლად და დამოუკიდებლად აღიარა.

ცენტრალური მთავრობის ასეთი ჩამოგდება მოხდა თავის თავად, უსაშინელობით, რომელიც თან სდევს ხოლმე რევოლუციას: იმ დღეს არც ერთი თოფი არ გავარდნილა, არც ყოფილა სისხლი, დაქცეული ბარიკადებზე. მართველნი გაქრნენ, ქუჩაში შეიარაღებულ ხალხის დანახვაზე:

ჯარმა ქალაქი გასწმინდა; ჩინოსნები დასაძალავად ვერსალისაკენ ისწრაფოდნენ და თან მიჰქონდათ ყოველივე, რის წაღებაც შეიძლებოდა. მთავრობა გაქრა, როგორც დამყაყებული ტბა, გაზაფხულის ქარით ამოშრალი და ცხრამეტს პარიზი უსისხლოთ იყო თავისუფალი იმ ატმოსფერიდან, რომლითაც იწამლებოდა დიდი ქალაქი.

ამ მშვიდობიან რევოლუციამ გახსნა ახალი ხანა რევოლუციათა სერიებში, რომელთაც კაცობრიობა მონობიდან თავისუფლებისაკენ მიყავთ. პარიზის კომუნის სახლის ქვეშ აღმოცენდა ახალი იდეა, რომელიც მოწოდებული იყო გადაქცეულიყო მომავალ ყველა რევოლუციების გამომდინარე წერტილათ.“ (იხ. პ. კროპოტკინის წიგნი „Paroles d'un révolté“—„აჯანყებულის სიტყვები“: პარიზის კომუნა. გვ. 68).

დღე პარიზის კომუნის, დღე ფრიად ბრწყინვალე რევოლუციათა ისტორიაში, მუდამ იქნება მშრომელ ხალხისათვის მისი საუკეთესო სახსოვარი, ვინაიდან ამ დღეს, რამოდენიმე ათეულ წლების წინათ, სახელდობრ 1871 წელს პარიზის მშრომელ ხალხმა ხელში ჩაიგდო ძალა უფლება, თვითონ შეიქმნა პატრონი თავის ბედისა, თავისი საქმის მოგვარებისა. მასთანვე ის შეიქმნა რევოლუციონურ მოძრაობის ავანგარდათ მთელ მსოფლიოში და მოუწოდებდა მაშინ მთელი ქვეყნის შრომელთ, რათა ისენიც იმავე გზაზე დამდგარიყვნენ.

დიადი იყო იდეა პარიზის კომუნარებისა, ისეთივე როგორც დიადი იყო ბრძოლა იმავე კომუნარებისა ამ იდეისათვის, ახალი იდეისათვის, რომელიც პარიზის კომუნის სახლის ქვეშ აღმოცენდა და რომელიც აუცილებლათ მნათობელი ვარსკვლავი უნდა ყოფილიყო მომავალ ყველა რევოლუციებისათვის.

დიადი იყო პარიზის კომუნის იდეა იმისათვის რომ 1871 წლის რევოლუცია ეს ნამდვილი ხალხოსნური მოძრაობა იყო, თვით ხალხის მიერ შექმნილი და ხალხის, მშრომელ ხალხის გულში და სულში აღმოცენებული.

ეს იყო იდეა სოციალურ რევოლუციისა, რომელშიც ხალხი ხედავდა თავის საუკეთესო მომავალს, ბრწყინვალე მომავალს, რომელსაც უნდა მოეცა თავისუფლება, რომელსაც უნდა მოეცა თანასწორობა, ნამდვილი თავისუფლება და ნამდვილი თანასწორობა.

პარიზის კომუნა 1871 წლის ეს პირველი ცდა იყო. აღმოცენებული გარდამავალ ხანაში, რკალში მყოფი ორ არმიათა შორის, რომელნიც ცდილობდნენ ხალხის განადგურებას და აღგვას, მასთანვე ზარბაზნების გრიალის და გუგუნის ქვეშ აუცილებლათ უნდა დაღუპულიყო.

არ იყო ხანგრძლივი პარიზის კომუნის დღეები. მაგრამ იმ მცირე დრომაც სავსებით გვიჩვენეს, ნათლათ დაგვანახეს პარიზის მშრომელ ხალხის გმირობა, პარიზის მშრომელ ხალხის რწმენა, ბრწყინვალე და იმედიანი რწმენა და მასთანვე თავდადებული ბრძოლა, ბრძოლა ვაჟკაცური, რევოლუციონური, რომელმაც ლამაზი გვირგვინი დაადგა სამუდამოთ ამ ბრძოლაში დაღუპულ გმირებს და მათ ხელმძღვანელებს იმავე ბრძოლაში დაღუპულთ, როგორც არიან დელეკლუზი, ვარლენი, დიუვალი, ფლურანსი, ვერმორელი, ფერრე და სხვანი. სასტიკ ბრძოლაში დაეცნენ პარიზის კომუნარები და მათი განადგურებით, ბურჟუაზიის მიერ დაქირავებულ ჯარების მიერ, რომელთაც ხელმძღვანელობდა ტიერი და ძმანი მისი, განადგურდა და დაეცა კომუნა, პარიზის კომუნა.

ბურჟუაზია დაუნდობელი იყო იმ შემთხვევაში. ის სასტიკათ სჯიდა მშრომელ ხალხს, რომელმაც ასეთ საფრთხის წინაშე დააყენა ბურჟუაზიული წრეები თავისი წადილით განთავისუფლებისაკენ, მშრომელ ხალხს, რომელიც მომწყვდეული დარჩა ჯარით ალყა შემორტყმულ ქალაქში, მიუსიეს გამხეცებული ჯარი და უბრძანეს ეხოცათ ყველა, განურჩევლათ ქალისა, კაცისა, ბავშვისა. არავითარი დანდობა ხალხის, ყოველივე სიმკაცრე მათ წინააღმდეგ—ასეთი იყო გადაწყვეტილება მშრომელ ხალხის მტრებისა.

ამ გადაწყვეტილებას, ხალხისადმი მიმართულს ასე გადმოგვცემს თავის წიგნში „პარიზის კომუნის სახალხო ისტორია“-ში იმ დროს დამსწრე და პარიზის კომუნის დროის ერთი აქტიური მონაწილეთაგანი არტურ არნუ:

„რაც გინდა რომ ქნა, მაინც დაიღუპები! წაგაწყდებიან თოფით ხელში,—სიკვდილი! დაყრი იარაღს,—სიკვდილი! წინააღმდეგობას გასწევ,—სიკვდილი! პატიებას მოითხოვ—სიკვდილი! საითკენაც არ გაიხედები: მარჯვნით, მარცხნით, წინ, უკან, ზევით, ქვევით, ყოველგან—სიკვდილი! შენ არამც თუ კანონს გარეშე, კაცობრიობის გარეშეც ხარ. ვერც ჰასაკი, ვერც სქესი ვერ გადაგარჩენს ვერც შენ, ვერც შენებს. შენ მოკვდები, მაგრამ ჯერ შენი ცოლის, დის, დედის, ქალიშვილების, ვაჟების, აკვნიდან ამოყვანილ ბავშვების წვალებით დასტკბები! შენს თვალწინ ჰოსპიტალებიდან გამოათრევენ დაჭრილებს, ხმლებით აკუწავენ მათ, თოფის კონდახებით მოუსპობენ უკანასკნელ სუნთქვას. შენ ნახავ, თუ შენს ძმებს, ტკივილებიდან გამწარებულთ, როგორ გამოათრევენ გადატეხილ ფეხით ან გასისხლიანებულ ხელით და გადაყრიან თხრილში, ნაგავში.

„სიკვდილი! სიკვდილი! სიკვდილი!“.

ამდაგვარ მოექცა კომუნარებს მათი მოწინააღმდეგე, ამგვარათ იძია მათზე შური. საშინელ სისასტიკით, აუწერელ გასამართლებით და დასჯით, ხალხის წამებით, ისახელა თავი კომუნის განადგურების დროს ბურჟუაზიამ და ამით რასაკვირველია სამუდამოთ გასწყვიტა ყოველივე კავშირი მშრომელ ხალხთან და მასთანვე ჯვარიც დაუსვა თავის არსებობას. ხალხმა დაინახა ის ზღუდე, რომელიც აშორებდა მას ბურჟუაზიასთან, ხალხი უკვე გაეცნო საკმარისად თავის მოწინააღმდეგეს და მომავლისათვის იცის ვისთან ექნება საქმე. მართალია პარიზის კომუნის დაცემის შემდეგ ბურჟუაზიამ გაიმარჯვა, მაგრამ პარიზის კომუნის წარსულ

ისტორიაში და საერთოდ კომუნის გამარჯვებაში სოციალურ რევოლუციის სახით ხალხს სწამს თავის გამარჯვება, თავის საუკეთესო მომავალი. მშრომელ ხალხს სწამს, რომ აუცილებლათ გაიმარჯვებს რევოლუცია და რევოლუციის გამარჯვება ხომ ხალხის გამარჯვებაა.

დღევანდელი დღე, 18 მარტი— პარიზის კომუნის დღე, ეს ხომ შრომის დღესასწაულია, მშრომელ ხალხის დღესასწაულია. და ეს დღე მთელი ქვეყნის მშრომელთათვის ბრწყინვალე ნათელი დღეა. მას ერთგვარად დღესასწაულობს მთელი მშრომელი მასსები, ვინაიდან ამ დღის წარსულის მოგონებაში ის ხედავს რევოლუციის ისტორიის წიგნში ერთ საუკეთესო ფურცელს, რომელიც მოგვითხრობს პარიზის მშრომელ ხალხის რევოლუციონური მოძრაობის, ერთ აჯანყების გაბედულ ლამაზ ნაბიჯს.

„იდეა—ამბობს პ. კროპოტკინი— რომლისათვისაც პარიზში საფრანგეთის პროლეტარიატი აქცევდა სისხლს და მრავალი წლები ახალ კალედონიის ნაპირზე იტანჯებოდა,—ეს ერთი იმ გაუსაზღვრელ რევოლუციონურ იდეათაგანია, რომელთაც თავის დროშის ხვეულებში განთავისუფლებისაკენ მიმავალ ერების ყველა მისწრაფებანი მოაქვთ.

„კომუნა იტაცებს და ასულდგმულებს არა იმით, რაც მან გააკეთა, არამედ იმით, რასაც ის ახლო მომავალში უქადის კაცობრიობას"-

სოსო ასლანიშვილი.

მუშათა წერილები

საბჭოთა სისტემა და ეროვნული საკითხი

ჩვენს წინა წერილში (იხ, „ერთობა" № 158,160) აღვნიშნეთ მხოლოდ დებულებითი მხარეები იმ წყობილებისა, რომელსაც საბჭოების სისტემა ეწოდება. ჩვენ ვამბობდით და ახლაც ვამბობთ დაბეჯითებით რომ, ერთად ერთი საუკეთესო სახელმწიფოებრივი ფორმა ყველა ქვეყნების მშრომელთათვის—არის საბჭოთა სისტემა. ეს წყობილება კლასიურ თავდაცვის ინტერესის თვალსაზრისით ბურჟუაზიისათვის და ბურჟუაზიულად მოაზროვნე საზოგადოებისათვის პრინციპიალურად მიუღებელია. ეს ფორმა (საბჭ. სისტ.) წმინდა გამოსახულებაა შრომის ქვეყნისა და როგორც ასეთი, რასაკვირველია ეწინააღმდეგება და გასაქანს არ აძლევს სახელმწიფოში მდიდართა კლასის გაბატონებას მშრომელთა მასაზე.

ჩვენ მემარცხენე სოც.-ფედერალისტები ვიწონებთ და ვსდგევართ ამ საბჭოთა სისტემის პლატფორმაზე როგორც ისეთ წყობილებაზე, რომელიც ამტკიცებს და იცავს არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიოს ქვეყნების მშრომელთა კლასის უმრავლესობის სასიცოცხლო ინტერესებს. და ამის გამო ჩვენთვის ქართველ ხალხის წინაშე ისტორიულად „მართალ" ხალხს არა ერთხელ და ორჯერ უწოდებიათ ჩვენთვის „სამშობლოს მოღალატეები". ჭეშმარიტად, პოლიტიკურად უსუსური უნდა იყოს ადამიანი, რომელიც ამ საძაგელ ანკესზე წამოეგება. რაშია საქმე?—ჩვენ ვდგევართ საბჭოების პლატფორმაზე და შეძლებისდაგვარად ვიცავთ მას,—ეს არის სამშობლოს „ღალატი და გამყიდველობა?" დაუშვათ ერთი წუთით რომ საბჭოების სისტემის მოწონება—ეს სამშობლოს „ღალატია" ჩვენი მოწინააღმდეგების გაგებით, მაგრამ ვიკითხოთ ახლა თუ როგორია ლოღიკური დასკვნა ამ შემთხვევაში? რომელია მართალი, საბჭოების მოწინააღმდეგენი თუ ლოღიკა? ჩვენი მიზანი სრულიადაც არ არის მიუდგომლად მიუდგეთ საკითხს, მაგრამ რომ სამართლიანობას ერთხელ და სამუდამოდ წერტილი დაუსვათ,—კითხვა ასე გვსურს დავაყენოთ:—იქ, სადაც არ არის რუსის ძალა, დიახ, იქ, სადაც ერები სრულიად თავისუფლად სცხოვრობენ; მაგალითად:—გერმანიაში, ავსტრო-უნგრეთში, იაპონიაში, იტალიაში და სხვაგან—ხომ მართალია ის ამბავი, რომ ყველა ამ ქვეყნებში არის კომუნისტური მოძრაობა და გამოსვლები; არიან კომუნისტები, რომელნიც მოითხოვენ საბჭოთა წყობილების დამყარებას: ჩვენ არ გვაინტერესებს იქ მათი რიცხობრიობა, არამედ გვაინტერესებს ფაქტი მიუხედავად მათი რაოდენობისა და რადგანაც ამ ფაქტს ვერავინ ვერ უარყოფს როგორც უტყუარ ჭეშმარიტებას, ამიტომ საკითხს ვსვამთ ასე:—შეიძლება თუ არა რომ გერმანიის, ავსტრიის და სხვა ეროვნულად თავისუფალ ქვეყნების შვილებს უწოდოთ—გერმანელების და მისი სამშობლოს მოღალატეები, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი თავიანთ ქვეყნებში სახელმწიფოებრივ ფორმად საბჭოების სისტემას აღიარებენ? რა თქმა უნდა ამ ბრალდებას ვერავინ ვერ წამოუყენებს გარდა ბურჟუაზიისა და ჩვენ ამას არც ვმალავთ, რომ მსოფლიო მშრომელი პროლეტარიატი—არის ჭეშმარიტი მოღალატე და მტერი, როგორც ბურჟუაზიული კლასის, აგრეთვე ბურჟუაზიული სამშობლოსიც. დიახ, ყოველი გერმანელი მუშა უნდა იყოს დაუძინებელი მტერი და მოღალატეც არა თუ მარტო თავისი საკუთარი ბურჟუაზიული სამშობლოსი, არამედ ბურჟუაზიული მსოფლიოსიც.

—

ეროვნული საკითხის გაურკვევლობა და მისი უყურადღებობა, პირდაპირ დიდ გაუგებრობასა ჰქმნის ქართველ ხალხში, რითაც ჩვენის აზრით ძლიერ აფერხებს ჩვენი სახელმწიფოებრივ აღმშენებლობის საქმეს.

ვის გინდათ რომ დღეს ეროვნული საკითხი არ ეკეროთ პირზე და მისი სახელით არ ლაღდებოდნენ. საკვირველია სწორედ ფარისეველთა საქმე. სად იყვნენ ამ 12 წლის წინედ ეს ერისა და სამშობლოს „დამცველები" მაშინ, როდესაც ქართველი ერის დევნისა და დაქსაქსვის მიზნით კავკასიის მთავარმართებელი უპირებდა ქართლის მხარიდან 12—15 სოფელი აყრას და ჩრდილო კავკასიაში გადასახლებას? თავის დროზე ამ ბარბაროსობის წინააღმდეგ თავგამოდებით ამოიღეს ხმა ეროვნულმა პარტიებმა, პრესამ და მოღვაწეებმა, მაგრამ საჭიროა ქართველ ხალხმა ეს „დავიწყებული" ისტორიული ამბავი გაიხსენოს და იკითხოს თუ რა სთქვეს მაშინ ქართველი ერის დევნის დროს რამიშვილ-ჩხიკვიშვილების პარტიამ? მათ სთქვეს: „ნაციონალ-შოვინისტები აბრუნებენ იმ ბუნებრივ მოვლენის წინააღმდეგ, რომელიც კლასთა დიფერენციაციაში გამოიხატება,—მით დასწერეს: „ძირს მიწის სოციალიზაცია, გაუმარჯოს პროლეტარიზაციას!" ვინ არიან ამ სტრიქონების ავტორები? ნუ თუ კიდევ მოიპოვება ტანჯულ საქართველოში თუნდაც ერთი ქართველი ისეთი, რომელიც იფიქრებს, რომ ამ სტრიქონებს დასწერდნენ: ფედერალისტები და ესერები? და ასეთი პარტია და ხალხი ბელადებში „სოციალისტური სინიდისის მხილებით" 1918 წ. 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს ხელს აწერს. ჭეშმარიტად სოციალისტების მიერ ისტორიის გამასხარავება ამაზე საშინლად ჩვენ ვერარ წარმოგვიდგენია.

რა არის ეს მომხდარი ფაქტი? არის თუ არა ეს ქართველი ხალხის წინაშე ისტორიული ღალატი? ჩვენ ვამბობთ:—არის თუ არა ეს ღალატი იმ ხალხისაგან, რომელთაც რუსის იმპერატორის მიერ ქართველი გლეხების ეროვნულად დევნა და აწიოკება ბუნებრივ მოვლენად ჩათვალეს? ვიტყვით მეტსაც; აქვთ თუ არა ნება ასეთ ხალხს ისტორიაზე დაიწყონ ლაპარაკი და სხვებს ქართველი ხალხის მოღალატე უწოდონ? რა თქმა უნდა აქვთ ნება იმდენად, რამდენადაც საკუთარი რწმენა და სოციალისტური მიუჩქმალი სინიდისი ნებას აძლევს.

საქართველოს დამშეულთა მთავარ კომიტეტი ვერ შესძლებს დამშეულები იხსნას სიკვდილიდან, თუ ყველა მოქალაქემ თავის უპირველეს საქმედ არ გაიხადა დამშეულების დახმარება.

ჩვენ არა ერთხელ და ორჯელ გვითქვამს ჩვენი გაზეთის ფურცლებზე, რომ დღეს საქართველო მათ შირმად აქვთ აფარებული რაშიაც ღრმად არის ჩამარხული მენშევიკური სული და სახეობა. ნუ თუ ვინმეს ჰგონია რომ საქართველო, ქართული სახელმწიფო, ქართული ენა, კულტურა, ქართული ლაშქარი, ქართული ნაციონალური მართვა-გამგეობა და სხვა, ყველაფერი ეს ნიშნავს მენშევიზმს? სამწუხაროდ ბევრს ასე ჰგონია მით უმეტეს მას შემდეგ, რაც რუსეთში მოხდა დიდი რევოლუცია, დაამხეს მონარქიზმი, ის მონარქიზმი, რომელსაც საუკუნოებით ჰყავდა პატარა ერები მართალია დაპყრობილი და დაჩაგრული და აი ამ მომენტიდან, სწორედ პატარა ერების განთავისუფლების მომენტიდან—ეს საკითხი, პატარა ერების თავისუფლების საკითხი, ვერავინ ვერ აქცია რეალ ფაქტად და ვერ გადაწყვიტა. სამწუხაროდ დღეს ბევრ ქართველს ჰგონია გულუბრყვილოდ რომ რევოლუციის პროცესში როდესაც საქართველომა 26 მაისის აქტი გამოაცხადა, ამით მენშევიკებმა ქართველი ერის საკითხი ბუნებრივად გადაწყვიტეს და გამოარკვიეს მაგრამ ამა ყოველმა ქართველმა განურჩევლად მიმართულებისა, გადაავლოს თვალი მენშევიკების მარქსისტულ მოღვაწეობის ისტორიას, გაუკეთოს ამას პოლიტიკური ანალიზი თუ არ დარწმუნდეს იმაში, თუ ქართველმა მენშევიკებმა რა დიდი ისტორიული ღალატი ჩაიდინეს ქართველი ხალხის წინაშე მთელი 25 წლიწადი! [illegible] რასაკვირველია ეს წერილი ისე [illegible] თითქოს ჩვენ მენშევიკების [illegible] არაფერი საქმე არა გვქონდეს, მაგრამ მწარედ მოსტყუვდებიან. ყოვლად შეუძლებელია ადამიანმა ნათელჰყოს საკითხი, თუ არ [illegible] ჩვენს წარსულს ნამოქმედარს, ისტორიას და რაც მთავარია—[illegible] ტებს.

ჩვენ ერთხელ კიდევ ვამბობთ ყველას მოსაგონად რომ ჩვენმა პარტიამ, როგორც ეროვნულ-სოციალისტურმა პარტიამ (ვგულისხმობ სოც.-ფედერალისტებს) 1903 წლიდან აიღო ხელში ეროვნულ-სოციალისტური დროშა ფედერალიზმის მაღალი პრინციპით და მთელი ერის სახელით მოითხოვა ქართველი ხალხის და მისი ქვეყნის თავისუფლება, ეროვნული მეობა; და ამ თავისუფლებისათვის ბრძოლას საქართველოში დიდი წინააღმდეგობა და დაბრკოლება შეხვდა არა თუ მარტო ნიკოლოზის მთავრობის მხრივ, არამედ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის კავკასიაში გამომდინარე ქართველი აგენტების მიერაც. ეს ამბავი ძველი არ გახლავთ, სულ 10—15 წლის ისტორიაა; დღესაც სცოცხლობენ ის ფედერალისტები, რომელნიც საქართველოს თავისუფლებისთვის ბრძოლაში, იყვნენ დევნილნი, წამებულნი, შოვინისტებად და მუშათა კლასის რასკოლნიკებად წოდებულნი!.. დიახ, დღესაც სცოცხლობენ ის ქართველი მენშევიკებიც, რომელნიც საქართველოს თავისუფლებისთვის მებრძოლ ფედერალისტებს სდევნიდნენ:—ნაციონალისტებს, შოვინისტებს და მუშათა კლასის გამთიშველებს გვიწოდებდნენ! დღეს რა მოხდა: 26 მაისს საქართველოს სრული დამოკიდებულობა აღიარეს და თანაც სთქვეს რომ „მოხდა სამწუხარო ფაქტი ამით, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა მივიღეთო" (იხ. გაზ. „ერთობა" 27—28 მაისის ნომრები) ამის შემდეგ ჩვენ გვინდა შევეკითხოთ უფრო „ღრმად მოაზროვნე" და დაფანჯული ქართველი ხალხის თავისუფლების „დამცველებს" თუ კი საქართველოს სახელმწიფო დროშის და ეროვნული დროშის ხელში აღება არ იყო რასკოლნიკობა—მაშ რათა სდევნით ფედერალისტებს? რად უწოდებდით მათ როგორც ეროვნულ-სოციალისტ მოღვაწეებს; ნაციონალისტებს, შოვინისტებს, მაშინ, როდესაც ფედერალისტებს სწორედ ხაზი ჰქონდათ ჩვენი ქვეყნის თავისუფლებისათვის აღებული? ვინ უფრო სწორი იყო და რომელი სტყუოდა არა თუ 1905 წ., არამედ თუნდაც 1916—17 წელში, ვიმეორებთ ვინ იყვნენ მართლები ერის საკითხში ფედერალისტები თუ მენშევიკები? რო-

პარიზის კომუნა

> „Великие дни 1871 года были первыми днями, когда пролетариат не только произвел революцию, но и стал во главе ея. Эта была первая революция пролетариата.
>
> Первой Парижской Коммуны.. своею кровью, своими страданиями оплодотворяли почву, на которой вырастет будущая победоносная социалистическая революция".
>
> П. Л. Лавров.
>
> („Парижская Коммуна")

დღევანდელი დღე მეტად მნიშვნელოვანი და ისტორიული დღე არის მუშათა მოძრაობის ისტორიაში... დღეს შესრულდა ორმოცდა თერთმეტი წელი მას შემდეგ, რაც პარიზის პროლეტარიატმა ასწია შრომის წითელი დროშა და რევოლუციონური გზით შეუდგა ძველი სოციალური წყობილების დამხობას და ახალი სამართლიანი ურთიერთობის განმტკიცებას.

„მოკლე ეპიზოდი პირველი რევოლუციისა, რომელიც მოახდინა პროლეტარიატმა პროლეტარიატისათვის, დასრულდა მისი მოწინააღმდეგის გამარჯვებით. ეს ეპიზოდი გაგრძელდა 72 დღე მარტის 18-დან მაისის 28 დღე"*).

მიუხედავად პირველი პროლეტარული რევოლუციის ასეთი ხანმოკლეობისა, მისი მნიშვნელობა და ისტორიული ღირებულება განუზომელი შეიქმნა საერთაშორისო მუშათა კლასისათვის.

პარიზის 1871 წლის კომუნა სასტიკად დამარცხდა და მოწინააღმდეგეებმა, ტიერის გამხეცებულმა ჯალათებმა სისხლის მორევში ჩაახრჩვეს კომუნის გმირები. გამარჯვებულ ჯალათების ისტორიული გმირობა და ნადირობა დამარცხებულ კომუნარებზე აუწერელია. „უნდა მივმართოთ,—სწერდა თავის დროზე ზომიერი ლიბერალი ფიო,—სულლას, ანტონიუსა და ოქტავის პროსკრიპციებს, რომ შევხვდეთ ასეთს მკვლელობებს განათლებულ ნაციების ისტორიაში; რელიგიური ომები უკანასკნელ ვალუას დროის, ბართლომეის ღამე, ტერორის ეპოქა მასთან შედარებით ბავშვური თამაში იყო. მაისის ერთს უკანასკნელს კვირაში პარიზში აკრეფილი იყო 17.000 შეკავშირებულ ინსურგენტების გვამები... ხოცვა-ჟლეტა კიდევ გრძელდება ივნისის 10-დე". ასეთია სურათი ლიბერალურ ისტორიკოსის მიერ გადმოცემული პარიზის კომუნის დამარცხების შემდეგ. ისტორიას არ ახსოვს მომენტი, რომ სოციალური ომი უსისხლოდ დამთავრებულიყოს. პარიზის კომუნარებმაც საშინელი სასჯელი გადაიტანეს თავიანთი თავგანწირვისათვის, მაგრამ ბედმა მას ისტორიაში არ ნახული სასჯელი მიანიჭა..

პარიზის ამბოხება, პროლეტარიატის პირველი რევოლუცია დამარცხდა სასტიკად; პარიზის კომუნარები თავიანთ სისხლის მორევში ჩაიხრჩვნენ და ფიზიკურად განადგურდნენ. მაგრამ იმავე ისტორიამ კომუნის გმირებს ხელუხლებელი ძეგლი აუგო და უკვდავების შარავანდედით შემოსა ისინი. პარიზის პროლეტარიატის 1871 წლის საქმე, მისი დიადი გამოსვლა და აქტები, მიუხედავად მათი საშინელი დამარცხებისა, უდიდეს წარმატებით მაგალითად შეიქმნა საერთაშორისო პროლეტარიატისათვის და ამ მომენტში ხედავდა იგი თავის სულისა და გონების, თავის წამხედველობის ძალას. პარიზის კომუნარების დიად ისტორიულ მოქმედებას წინაშე ქედი მოიხარა და თავის საერთო საქმედ გაიხადა თითქმის ყველა სოციალისტებმა.

ჯერ კიდევ პარიზის კომუნის დამარცხების მეორე დღესვე 1-ლ ინტერნაციონალის გენერალური საბჭო თავის მანიფესტში სწერდა: „ყოველ დროში მოიგონებენ პარიზის მუშებს თავისი კომუნით, როგორც ახალი საზოგადოებრივი წყობილების ძვირფასს წინამორბედებს. მათი წამებულები შენახულია მუშათა კლასის უდიდეს გულის სიღრმეში. მათი მკვლელები ისტორიამ უკვე სამუდამოდ მიალურსმა სამარცხვინო ბოძზე, საიდანაც მათ ვერ დაიხსნის ვერავითარი ლოცვა-კურთხევა მათი მღვდლებისა"*).

პარიზის კომუნა დამარცხდა უსწორმასწორო ბრძოლაში. მაგრამ პარიზის კომუნამ უდიდესი ისტორიული და იდეური გამარჯვება მოიპოვა. ასეთია დასკვნა 1871 წ. პროლეტარიატის რევოლუციის შესახებ.

ორივე ეს მომენტი მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანია მათი მიზნებისა და შინაარსის გამოკვლევა ნათელ მოფენს პროლეტარული რევოლუციის შემდეგ ეტაპებს. დღეს ჩვენ ისეთს ეპოქაში ვიმყოფებით, რომელიც ძლიერ წააგავს პარიზის მოძრაობას თავისი შინაარსით, ამიტომ გამოკვლევა ამ მოძრაობის მთავარი ფაქტორებისა თანამედროვე რევოლუციონური მოძრაობის მომენტებს რამოდენიმედ ახსნის და განმარტავს.

რამ დაღუპა კომუნა ფიზიკურად რამ გაიმარჯვა მან იდეურად?

უწინარეს ყოვლისა ჩვენ [illegible] კომუნაში „პირველს, თუმცა ძლიერ მკრთალს განსახიერებას პროლეტარიატის რესპუბლიკას" (ლავროვი).

პარიზის მოძრაობა იყო სტიქიური ბუნებრივად ამოვარდნილი მოძრაობა მას არ ამოძრავებდა რაიმე წინასწარი გეგმა, დამზადებული პროგრამები. არავინ არ ამზადებდა კომუნას, არავინ არ ემზადებოდა, მისთვის ის: სრულიად მოულოდნელად აღმოცენდა რევოლუციონურ მოძრაობის პროცესში მისი ასეთი მოვლინება მოულოდნელი იყო როგორც მტრებისათვის, ისე მომხრეებისათვის. 1871 წლის რევოლუცია დაიწყო როგორც პატრიოტული მოძრაობა, რომელიც აღმოცენდა გერმანულ იუნკრების გამარჯვებით და პარიზის გამყიდველ ჯალათების პოლიტიკის ნიადაგზე. ამ მოძრაობას უნდა ჰქონოდა საერთო—ნაციონალური ხასიათი, შეერთებოდა ყველა კლასები სამშობლოს დაცვის საფუძველზე, მაგრამ მოძრაობის შემდეგმა ცვლილობამ მას დაუკარგა ზე-კლასური ხასიათი და წმინდა პროლეტარული შინაარსი მისცა, გარკვეულს კლასიურს ფორმებში ჩამოაყალიბა. ბუნებრივად, კლასთა ბრძოლის ლოღიკას მკაცრი კანონის ძალით რევოლუციის მესვეური და მისი მესაჭე შეიქმნა მშრომელი დემოკრატია, პარიზის პროლეტარიატი.

ეს იყო პირველი პროლეტარული რევოლუცია, რომლის ხელმძღვანელი და სულის ჩამდგმელი შეიქმნა პარიზის მშრომელი ხალხი და რომელმაც სრულიად სტიქიურად აღმოცენა მოძრაობის დროს.

ამ გარემოებამ განსაკუთრებული დაღი დაასვა პარიზის რევოლუციას და სტიქიურ მოძრაობის პროცესში პროლეტარიატმა ისეთი ფორმები რევოლუციონური ორგანიზაციისა და ბრძოლის მეთოდ[illegible] გამოიმუშავა, რომელიც საფუძველი შეიქმნა თანამედროვე რევოლუციონური მოძრაობის. აქ არის მისი ისტორიული დანიშნულებაც.

პარიზის პროლეტარიატი პატრიოტიზმიდან სოციალურ მაქსიმალობამდე მივიდა და სოციალური ცხოვრების რადიკალურად გარდაქმნას შეუდგა. სოციალისტური აზროვნებისათვის და მოძრაობისათვის საინტერესოა ის ფორმა ორგანიზაციისა, ის მეთოდი და საშუალება, რომლითაც პარიზის პროლეტარიატი ცდილობდა სოციალური ცხოვრების გარდაქმნას.

პარიზის რევოლუციამ, რომელმაც პირველად გამოაშკარავა მუშათა კლასის ენერგია დამოუკიდებლად და მისი ინიციატორული პოლიტიკური შემოქმედება, კომუნის სახით მოგვცა სრულიად ახალი ტიპის სახელმწიფო, მსოფლიო ისტორიაში ჯერ არ ნახული და ამით სოციალისტურ მოძრაობას გარკვეული სახე და შინაარსი მისცა. კომუნა პროლეტარიატის რესპუბლიკა არისო, გვეუბნება რუსეთის ცნობილი რევოლუციონერი პ. ლავროვი თავის მეტის მეტად საინტერესო წიგნში პარიზის კომუნის შესახებ. კ. მარქსი თავის „სამოქალაქო ომი საფრანგეთში" იკვლევს კომუნის ღირებულებას და მის თეორიულ საფუძვლებს. ავტორი დაასკვნის: კომუნა იყო „ერთობ გაფართოებული სახელმწიფოებრივი ფორმა, მაშინ როდესაც ყველა წინანდელი ფორმები მთავრობისა იყო არსებითად დაჩაგვრის ფორმები. მისი (კომუნის) საიდუმლოება იმაში მდგომარეობს, რომ ის, თავისი შინაარსით იყო მთავრობა მუშათა კლასისა, შედეგი ბრძოლისა მწარმოებელ და ექსპლოატატორ კლასთა შორის, იმ დიდი ხნიდან ნაძებნი პოლიტიკური ფორმა, რომელშიაც შესაძლებელი იყო მომხდარიყო შრომის ეკონომიური განთავისუფლება"*)

მარქსის ანალიზი ნათელი და გარკვეულია. იგი სწორია, თავის დასკვნებში. პარიზის რევოლუციამ არა მარტო პროლეტარიატის რევოლუცია მოგვცა, მან ამ მოძრაობას გარკვეული შინაარსი მისცა და გარკვეულს ფორმებში ჩამოაყალიბა. 1871 წ. მოძრაობამ ჩვენ მოგვცა ახალი ტიპის სახელმწიფო, პროლეტარიატის რესპუბლიკა, რომელიც თავისი რაობით ძირიანად განსხვავდება ძველი სახელმწიფოებრივ წყობილებისაგან. პარიზის კომუნა ახალი ფორმის რესპუბლიკა არის, მშრომელთა პოლიტიკური ბატონობის ორგანიზაცია. ეს ახალი ფორმის სახელმწიფო პროლეტარიატმა გამონახა სტიქიური მოძრაობის პროცესში. კ. მარქსმა თავის წიგნში მეცნიერულად დაამტკიცა, რომ მუშათა კლასს არ შეუძლია მზამზარეულად აიღოს ძველი სახელმწიფოებრივი მანქანა და მიმართოს იგი თავისი მიზნების სამსახურისათვის. პროლეტარიატმა უწინარეს ყოვლისა უნდა დაღუპოს, დაამსხვრიოს ძველი პოლიტიკური აპარატი და მის ადგილას შექმნას სრულიად ახალი, თავის კლასიურ ინტერესებთან შეფარდებული სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია. პარიზის პროლეტარიატმაც რევოლუციონური გარდატეხის დროს სავსებით დაღუპა ძველი ბურჟუაზიული სახელმწიფოს მექანიზმი და კომუნის სახით პროლეტარული რესპუბლიკის რეალური სახე ჩამოაყალიბა. „უნდა დავამსხვრიოთ საფუძვლიანად ძველი ძალა-უფლების შენობა და შევქმნათ ხელისუფლება ახალი გეგმით სამართლიანობისა და მეცნიერების საფუძვლებზე.., ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ ჩვენს მტერზე ზნეობრივი ძალით".—სწერდა კომუნარი ვერმორელი 1871 წ. აპრილის 24-ს. პარიზის რევოლუციამ ეს გეგმა გამოსცადა და კომუნას სახით მოგვცა ახალი პოლიტიკური წყობილება. კომუნა იყო არა პარლამენტარული დაწესებულება, არამედ მოქმედი კოლეგია, რომელიც აერთიანებდა, როგორც აღმასრულებელს, ისე საკანონმდებლო ხელისუფლებას (მარქსი).

(დასასრული იქნება)

სამ. ხუნდაძე.

---

*) იხ. П. Лавров: „Парижская Коммуна, 18 марта 1871 г." გვ. 160.

*) იქვე გვ. 131.

*) იხ. მისი: „Гражданская война во Франции".

დესაც დღეს ჩვენ ყოველ ნაბიჯზე ვაყენებთ ასეთ საკითხებს, ბევრსა ჰგონია რომ ჩვენ ეს გვემართება ეგოიზმით, ჯინით, ჯავრის ამოყრით, უბრალო პარტიული თავმოყვარეობით და სხვ., და ხშირად იდეურად გაკოტრებული მენშევიკები და მათი თანამოაზრენი გვიპასუხებენ, რომ რაც მოხდა, მოხდა—მაშინ მენშევიკები „შესცდნენ“ [illegible] საკითხში და ეხლა „ჭკუაზე“ [illegible]! ასეთ პასუხს გვაძლევენ ხშირად მეტად სერიოზული პირები და ისეთი იოლად ამბობენ. ჩვენ რა თქმა უნდა ასეთ „სერიოზულ“ პირების მიერ ფაქტების დამახინჯებას სრულიადაც არ ვაქცევთ ყურადღებას, რადგანაც ძალიან კარგადა ვართ მიხვედრილნი თუ რატომ იწუხებს თავს ეს ხალხი, რისაკვირველია დღეს მეტს ვერაფერს ვერ იტყვიან.

ასოთ-ამწყობი დ. მელაშვილი.

(შემდეგი იქნება)

სრულიად საქართველოს საბჭოთა პირველი ყრილობა

(მეცხრე სხდომა მარტის 3-ს)

სხდომა იხსნება დილის 11 საათზე.

საქართველოს წითელი ლაშქარი.

(ამხ. შ. ელიავას მოხსენება)

ამხანაგებო, დღიდან საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისა საქართველოში, რევოლუციონური მთავრობას ჰქონდა გადაწყვეტილი, უპირველეს ყოვლისა, მოეწყო წითელი ლაშქარი იმ პრინციპის მიხედვით, რომელიც დაედვა საფუძვლად რუსეთის წითელ ლაშქრის ორგანიზაციას. ამისთვის საჭირო იყო სრული ლიკვიდაცია თავიდანვე მენშევიკური არმიისა და სახალხო გვარდიისა და ახალ—წითელ ლაშქრის შენება ახალ ნიადაგზე. საჭირო იყო მომზადება ჯარის მეთაურებისა გლეხებისა და მუშებისაგან, რომელნიც უნდა ჩასდგომოდნენ სათავეში და გაძღოლოდნენ წითელ ლაშქარს. და აი პირველი დეკრეტი რევოლუციონურ მთავრობისა შეეხებოდა მენშევიკურ მთავრობის არმიის ლიკვიდაციას. ამ ლიკვიდაციის ვადათ იყო დანიშნული 25 მარტი, როდესაც უნდა მომხდარიყო ეს ლიკვიდაცია და მთელი ქონება უნდა ჩაბარებოდა ახალ მთავრობას. მაგრამ მენშევიკებთან ბრძოლის პროცესში, რომელიც დამთავრდა ბათუმში 17 მარტის მომხდარ ამბით, გამოირკვა, რომ სრული ლიკვიდაცია არმიისა და გვარდიისა, ყოვლად შეუძლებელია, რომ პოლიტიკური მოსაზრებებით აუცილებელია გამოვიყენოთ მენშევიკების მიერ დარჩენილ ჯარის პირადი შემადგენლობა და ქონება. და ამის მიხედვით მარტში გაცემული იქნა განკარგულება ბათუმში, რომ მენშევიკურ ჯარის დარჩენილი ნაწილები გამოგვეყენებინა. მაშინ ჩვენ ვაპირებდით ისეთი რიცხოვანი ლაშქრის შედგენას, რომელსაც იტანდა საქართველო როგორც თავისი მცხოვრებლების რაოდენობის მიხედვით, ისე იმ ინტერესების მიხედვით, რომელიც უნდა დაეცვა ქართულ წითელ ლაშქარს.

დასაწყისში განზრახული იყო ერთი ქვეითთა დივიზიის, ცხენოსანთა და სანაპირო ბრიგადის და დამხმარე ტექნიკური ნაწილების შექმნა, [illegible], 25 ათასამდე მებრძოლთა შემადგენლობით. მაგრამ ჯარის შედგენის დაწყებისთანავე გამოირკვა ასეთი მნიშვნელოვანი ჯარის შედგენა-შენახვის შეუძლებლობა. მთავარი მიზეზები ამისა იყო: საკმარის ნივთიერ საშუალებათა უქონლობა, მაგალითად, ტანსაცმლის, საბრძოლველ იარაღის, სურსათ-სანოვაგის და, უმთავრესად, ფინანსიური უსახსრობა. ფულის ნიშნებს სამხედრო უწყება ღებულობდა მხოლოდ 1/4-ს ან მეექვსედს ნამდვილ საჭიროებისას. მეორეს მხრივ თვით ჯარის შედგენის პროცესში გამოირკვა არა მიზანშეწონილი ორგანიზაცია და ზედმეტობა ზოგიერთ ახლად შექმნილ დაწესებულებათა და ერთეულების. ამ მიზეზების გამო, წარსული წლის აგვისტოში მოხდა ჯარის რეორგანიზაცია, რომლის შედეგი იყო ჯარის რიცხვის შემადგენლობის შემცირება. წარსულ შემოდგომაზე სასურსათო და ეკონომიურმა კრიზისმა დიდი გავლენა იქონია ჯარის ერთეულების შედგენის [illegible] და ამიტომ დაიბადა აზრი ჯარის რიცხვის შემოკლების შესახებ. და წარსულ წლის ოქტომბერში ეს ახალი შემცირება განხორციელებულ იქნა. მაგრამ არც ეს რეორგანიზაცია იყო უკანასკნელი. იგივე სასურსათო კრიზისი და, საზოგადოდ, მატერიალური კრიზისი რესპუბლიკაში მოითხოვდა შემდეგი რეორგანიზაციას, და დეკემბერში მოხდა უკანასკნელი რეორგანიზაცია ქართულ წითელ ლაშქრისა. მე არ ვლაპარაკობ ჩვენი ჯარის შემადგენლობაზე, არ ვლაპარაკობ მის რიცხვზე რადგანაც დღევანდელ პოლიტიკურ პირობების გამო, ასეთ ცნობების გამოქვეყნება არ შეიძლება. ჯარის მოწყობის პროცესში იქმნებოდნენ ორგანიზაციები, სამხედრო კომისარიატები, რომელნიც უნდა ყოფილიყვნენ მოწყობილნი ისე, რომ საჭირო დროს რესპუბლიკას შესძლებოდა ახალგაზრდობის ჯარში გაწვევა. რესპუბლიკას ჰყავს, მაშასადამე, დღეს სახალხო-სამხედრო-საზღვაო კომისარიატის შტაბი; სამხედრო-საინჟინერო სამმართველო, საქართველოს მაზრების, აჭარეთის და აფხაზეთის სამხედრო კომისარიატები, სამხედრო სასწავლებლები (შეერთებული სამხედრო და საზღვაო სკოლები), გაწვევამდე მომზადებისა და სატანთ-ვარჯიშო ორგანიზაციები. იანვრის შემდეგ რეორგანიზაცია საბოლოოდ იყო დამთავრებული. და ამავე დროს იყო მიღებული ზომები ჯარის ერთეულების შესავსებად 1900 წელში დაბადებულ სამხედრო ვალდებულებით, რომელთა გაწვევა აქამდე ფერხდებოდა ერთის მხრივ—ჯარის მოწყობის საქმის დაუმთავრებლობის გამო, ხოლო მეორეს მხრივ—ერთეულების მოუმზადებლობის გამო, ხოლო ნივთეულის მხრივ, ახლად გაწვეულთა ჩაცმისათვის და გაწვრთნისათვის საჭირო საგანგებო თანხის გაუღებლობის გამო.

ზამთრამდე ჯარში გაწვევა ახალგაზრდობის ძნელი იყო აგრეთვე იმ მოსაზრებით, რომ სასოფლო მეურნეობისათვის ხელი არ შეგვეშალა. ეს გაწვევა დამთავრდა პირველ თებერვლისათვის და ამ ჟამად დაიწყო ახლად გაწვეულ წითელ არმიელთა სწავლება-ვარჯიშობა იმ ანგარიშით, რომ ისინი ჩაყენებულ იქმნენ საერთო წყობილებაში ამავე წლის აპრილის დამდეგისათვის. ქართულ წითელ ერთეულების მოწყობის დროს მიღებული იყო ზომები წინანდელ მეთაურთა შემადგენლობის გამოსაყენებლად, რომელთა უმრავლესობა შედგებოდა სამხედრო სპეციალისტებისაგან. ამ ჟამად ეს შემადგენლობა წარმოდგენილია შემდეგი სახით: ძველი [illegible] ოფიცრები 23 პროც.-მდე, ომიანობის დროის ოფიცრები 74 პროც. [illegible] და წითელი მეთაურები 3 პროცენტი.

მიღებულია ზომები ჩვენივე ქართველ წითელ მეთაურების მოსამზადებლად, და ამ მიზნითაც დაარსებულია ქართული შეერთებული სამხედრო სკოლა, ჯართა ყოველგვარი დარგის მეთაურთა მოსამზადებლად. ამ ჟამად სკოლაში არის 288 კურსანტი, რომელთაგან 243 გლეხებია, 9 მუშა და 36 სხვა კლასისა. ამავე სკოლასთან არსებობს გასამეორებელი კურსები, რომელთა აქვთ მიზნად ერთის მხრივ სამხედრო დროის ოფიცრებთაგან შემდგარ მეთაურთა შემადგენლობის სამხედრო განათლების შევსება, ხოლო მეორეს მხრივ თანდათანი დამუშავება მათი პოლიტიკურად.

გარდა ამისა წითელ სამხედრო ზღვაოსანთა მოსამზადებლად ბათუმში მოწყობილია სამხედრო-საზღვაო სასწავლებელი, სადაც კურსანტთა რაოდენობა ამ ჟამად აღწევს 90 კაცამდე.

ჯარების ერთეულების შედგენასთან ერთად დაწყებულ იქნა, მაზრის და გუბერნიის სამხედრო კომისარიატების საშუალებით, სამობილიზაციო აღრიცხვო დაწესებულებების დაარსება ადგილობრივ.

დასახელებულ კომისარიატების შედგენის შემდეგ სულ მოკლე ხნის პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ ისეთი საშუალო ინსტანციები, როგორც გუბერნიის სამხედრო კომისარიატია, სრულიად ზედმეტი იყო. ამიტომ უკვე არსებული ქუთაისის გუბერნიის სამხედრო კომისარიატი დაიშალა, მაზრის სამხედრო კომისარიატები კი დაექვემდებარა სამხედრო-საზღვაო სახალხო კომისარიატის შტაბს.

თავდაპირველად მაზრის სამხედრო კომისარიატების მუშაობა-მოქმედება ვერ იყო ნაყოფიერი, ვინაიდან მათი თანამშრომლები არ იყვნენ სათანადოდ მომზადებულნი, არ არსებობდა განსაზღვრული ინსტრუქციები, ვერ იყო შეგუებული მათი ურთიერთობა სამოქალაქო დაწესებულებების ადგილობრივ ორგანოებთან; არ იყო მოწყობილი სწორი და განუწყვეტელი კავშირი პროვინციებთან. თუ ყოველივე ამას დაუმატებთ იმას, რომ მაზრის სამხედრო კომისარიატები ძლიერ ცუდ მდგომარეობაში იყვნენ კმაყოფის სხვა და სხვა ნახის საგნებით (განსაკუთრებით ფულის ნიშნებით) მომარაგების მხრივ, ცხადი იქნება თქვენთვის თუ რა აუტანელ პირობებში მიმდინარეობდა მათი მუშაობა, მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ამისა, წ. წ. ზაფხულის დასასრულში მაზრის სამხედრო კომისარიატების მუშაობა ასე თუ ისე დაეწყო და დღეს ისინი თითქმის სავსებით თავიანთ კალაპოტში ჩადგნენ, გარდა ზოგიერთ ცენტრისაგან ძლიერ მოწყვეტილ მაზრებისა. გასულ დროში აღრიცხულია 140 ათასამდე მოქალაქე, უვადო შვებულებაში დათხოვნილი; შედგენილია ჯარში გასაწვევი სიები იმ პირების შესახებ, რომლებიც დაბადებულნი არიან 1901-1902 წ. და როგორც ზემოთ არის ნაჩვენები, გაწვეულია კონტინგენტი 1900 წლისა. ეს გაწვევა გამოდგა ჩვენი ახალი საადრიცხვო დაწესებულებისათვის (სამაზრო, სამხედრო კომისარიატებისათვის) როგორც გამოცდა და თუმცა გატარებულ იქმნა საზოგადოდ ცოტად დამაკმაყოფილებლად, მაგრამ მაინც იმაზე უფრო უკეთ, რაც მოსალოდნელი იყო მაზრის სამხედრო კომისარიატების მუშაობის იმგვარ მცირე ხელსაყრელ პირობებში, რომლებზედაც ნაჩვენებია ზემოთ. სამხედრო ბეგარის მოსახდელად გამოცხადდა მაზრის სამხედრო კომისარიატებისათვის მიცემულ განწესების 84 ნახ. პროც. ხოლო მიღებულია ჯარში აღნიშნულ განწესების 63 ნახ. პროც. მიღებულია ზომები იძულებითი გამოყვანა ყველა იმ პირების, რომლებიც არ გამოცხადდნენ ვადაზე, ამისათვის ადგილობრივ და ცენტრში დაარსებულია დეზერტირობასთან მებრძოლი სპეციალური კომისიები, მაგრამ ამ კომისიების მუშაობა აქამდის ფერხდებოდა იმით, რომ უკანასკნელ დრომდე არ იყო დამტკიცებული მათ შესახებ დეკრეტი და დებულება, თავის დროზე წარდგენილი რესპუბლიკის რევკომში.

გაწვევის დამთავრების შემდეგ რითაც თავდება მუშაობა ჯარების ორგანიზაციის საკითხში. კომისარიატის ნაწილის მორიგი ამოცანა არის სამობილიზაციო გეგმის გამომუშავება, რისთვისაც უკვე მიღებულია ზომები.

საქართველოს წითელ არმიის და სამხედრო საინჟინერო სამმართველოს, მომარაგების ორგანოთა მოღვაწეობის მიმოხილვიდან სჩანს, თუ რაგვარ აუტანელ პირობებში უხდებათ მუშაობა, ჯარების ყოველგვარი დაკმაყოფილების მხრივ ქართულ ჯარების შექმნის პირველ დღიდანვე და მათი არსებობის მთელი ხნის განმავლობაში დღევანდლამდე. განსაკუთრებით მძიმე იყო ფინანსიური მდგომარეობა, რომლის სათანადო დაუყოვნებლივ წარმოუდგენლია რაიმე გვარი ორგანიზაციის არსებობა. ხოლო არმიის ფულობრივი (ფულის ნიშნების) მოთხოვნილება გ. წ. დაკმაყოფილებულია 1/6—1/5-ში ამ ჟამად კი კმაყოფილდება 1/4-ში და ეს იმ პირობებში, როდესაც საქონლის ფასი სულ იზრდება და იზრდება ხოლო ფულის ღირებულება სულ ეცემა, მაშასადამე ის ფულის ულუფა, რაიც ეძლევა უწყებას ყოველ დღე, თან და თან ჰკარგავს თავის ღირებულებას.

მაგრამ მიუხედავად ამ ზომ არახელსაყრელ პირობებისა, პირდაპირ გმირული ძალდატანების საშუალებით მოხერხდა რამდენიმედ უზრუნველყოფა არმიისა საბინაო კმაყოფით და ცოტა ოდნად ნივთიერი კმაყოფით. ხოლო ჯარების სასურსათო და ნამეტნავად სასაკვებო კმაყოფის საქმე იმყოფება მეტად მძიმე მდგომარეობაში, იგივე უნდა ითქვას წითელ არმიელების და მეთაურთა შემადგენლობის ჯამაგირის დაკმაყოფილებაზედაც: არიან ისეთი ჯართა ერთეულები, რომლებსაც არ მიუღიათ 2—3 თვის ჯამაგირი. თავის თავად ცხადია, რომ ამგვარ პირობებში ნორმალური ცხოვრების მოწყობა ჯართა ერთეულებში ყოვლად შეუძლებელია, ამის შემდეგ კი არის დეზერტირობა ნამეტნავად ახლად გაწვეულ 1900 წლის კონტინგენტის წითელ არმიელთა შორის.

ამხანაგებო, ამნაირი არის ფაქტიური სურათი საერთოდ ჩვენი ჯარების და მათი სამნეო ორგანიზაციების მდგომარეობისა. გასაკვირველი არ არის, რომ ჩვენ ჯერ არ გვყავს სავსებით გაწვრთნილი ლაშქარი, რომელსაც შეეძლოს მანევრები მოახდინოს და ფართო ბრძოლები აწარმოოს.

მაგრამ მხედველობაში უნდა იქმნას მიღებული გარემოება, რომ ის ნარჩენი მენშევიკური არმიისა, რომელიც გასული წლის მარტში პოლიტიკური მოსაზრებით დატოვებულ იქმნა წითელ ლაშქარში, ეს ელემენტები სულიერად დაცემული იყვნენ, ისინი დამარცხების ნიადაგზე ფსიქოლოგიურ დეზორგანიზაციას განიცდიდენ. ამავე დროს სოფლიდან ჩამოსულებშიც ბევრია ისეთი პირებიც, რომლებმაც წერა-კითხვა არ იციოდნენ და სრულიად გაუნათლებელი იყვნენ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ყოველთვის ითვლებოდა განათლებულ მხარეთ რუსეთის დანარჩენ ნაწილებთან შედარებით, მიუხედავად ამისა ჩვენ ჯარში ძალიან ბევრი გაუნათლებელი და წერა-კითხვის უცოდინარი იყო და არის. გარეგნულად თითქოს დიდ კულტურულ მუშაობას ეწეოდა მენშევიკური მთავრობა სოფლად, მაგრამ ჯარში გაწვეული ახალგაზრდობა მაინც გაუნათლებელი იყო. მე მინახავს ისეთი წითელ არმიელი, რომელმაც არ იცის რომელ მაზრიდან არის. როცა მაგალითად, შეკითხვებით გიპასუხებს: მე ბატონო ვარ ბელიკლუჩის უეზდიდან.

ჩვენი ჯარის რიგიან მოწყობის საქმეს უშლის ხელს აგრეთვე წითელი მეთაურების უქონლობა. ჩვენი დღევანდელი მეთაურები არ ეკუთვნიან იმ კლასს, რომელსაც ჩვენი ხელისუფლება ეყრდნობა. როგორც იცით, ძველად ოფიცრობა გამოდიოდა პრივილეგიურ წრეებიდან, მაშინ გლეხების წრეებიდან მეთაურები ვერ გამოდიოდნენ. ჩვენ დღესაც არ გვყავს გლეხების წრეებიდან გამოსული მეთაურები, ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ, რომ ეს მომზადებული მეთაურები, რომლებიც გლეხების წრეებიდან იქნებიან გამოსულნი, გვყავდეს, რომ ჩვენი ჯარი პოლიტიკურად გაწვრთნილი იყოს. ჩვენ, საქართველოს კომუნისტურ პარტიას, ჯარში მუშაობის დიდი პრაქტიკა არა აქვს და ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ ჯერ კიდევ არ გვყავს ისეთნაირი პოლიტიკურად აღზრდილი წითელი ლაშქარი, რომელიც ყოველ წუთში მზათ უნდა იყოს რესპუბლიკის საზღვრების დასაცველად. ეგრედ წოდებულ „შკურნიკობა“ ჯერ კიდევ მაგრად აქვს ფეხმოკიდებული. ჩვენი პატარა ტერიტორია, რომლის სივრცეზე ჩვენ ვაწყობთ ლაშქარს, არ უწყობს ხელს ამ ჯარის შექმნას, ამ ხალხის ჯარში დამკვიდრებას, რადგან მათ ახლო აქვთ სახლი, ისინი მიილტვიან ამ სახლისკენ. ძველ არმიაში დასავლეთ და აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოში ახალგაზრდობა ძალიან გაურბოდა ჯარში სამსახურს. ამას ხელს უწყობდა ამ ჯარისკაცთა ოჯახების სიახლოვე არმიასთან. ამიტომ დეზერტირობა ძალიან ხშირი მოვლენა იყო. ჩვენ ამის გამო გადავწყვიტეთ, რომ სასტიკი ზომები მივიღოთ ამის წინააღმდეგ, თვით დახვრეტაც კი, რომ არ გაიქცეს ჯარის კაცი სახლში და რომ არ მიატოვოს თავისი მოვალეობა სამშობლოს საზღვრების დაცვის საქმეში.

(დასასრული იქნება).

რუსეთის დამშეულებისათვის

რუსეთში არ დარჩენილა არც ერთი კუთხე, არც ერთი ადამიანი განსაკუთრებული ბრძოლა არ გაეწიოს დამშეულთათვის, ამ ბრძოლამ იხსნა რუსეთი უდიდეს განსაცდელისაგან. ნუ თუ საქართველოს დამშეულები დაიღუპებიან ჩვენი გულგრილობით, მცონარეობით და უმოქმედობით?

ახალი ამბები

— საქართველოს სასოფლო-სამეურნეო [illegible] და სავეტერინარიო საზოგადოებაში. კვირას 19 მარტს, დილის 11 საათზე საზოგადოების თავმჯდომარე პროფესორი მელიქიშვილი წაიკითხავს ახალ გამოკვლევებს „კახური ღვინის ქიმიური ხასიათის“ შესახებ. მოხსენების შემდეგ განხილული იქნება საზოგადოების ახალი წესდების პროექტი. მოხსენება წაიკითხება საზოგადოების ბინაზე (ბარიატინის ქ. № 5) დასწრება ყველასათვის თავისუფალია.

პარტიაში

დღეს, მარტის 18-ს შუადღის 12 საათზე გაზ. „ტრიბუნის“ რედაქციაში დანიშნულია მთავარი კომიტეტის სხდომა.

სამი ინტერნაციონალის კონფერენცია

ამხ. ზინოვ[illegible]

მოსკოვი. 2 მარტი. კომინტერნის აღმასკომის გა[illegible] ამხ. ზინოვიევმა სამივე ინტერნაციონალის კონფერენციის შესახებ განაცხადა:

„ბევრი გაკვირვებულია ამ პროექტის მოულოდნელობით. მეც წინააღმდეგი ვიყავი მისი გამომუშავების. მაგრამ იგი ჩვენზე მარტო არაა დამოკიდებული. გენუას კონფერენციის წინ მსოფლიო კაპიტალიზმის წინააღმდეგ აუცილებელია კონტრ დემონსტრაცია მსოფლიო პროლეტარიატისა. მართლაც, ამსტერდამმა გააკეთა წინადადება პროფკავშირის კონფერენციის მოწვევაზე გენუაში, მას უკან 2 ნ.ხ. ინტერნაციონალმა—კონფერენციაზე სამივე ინტერნაციონალისა. მსგავსი წინადადება იქმნა გაკეთებული დანიის ყოფილ მინისტრის, სოც.-დემოკრატ სტაუნინგის მიერ, დაბოლოს, იტალიელ დარაგონის მიერაც. კონფერენციის შესახებ საკითხი გამომდინარეობს საერთაშორისო მოვლენების მსვლელობისაგან. ეს კონფერენცია არ არის ჩვენ მიერ გამოგონილი ჩვენი დიპლომატიური ინტერესების თვალსაზრისით. მდგომარეობა ახლა სხვანაირია, ვინემ იგი იყო 1919 წ. როდესაც ჩვენ უარი განვაცხადეთ ბერნის კონფერენციაში მონაწილეობაზე ახლა 2 და 2 ნახ. ინტერნაციონალებს ყავთ ხალხის მასსები. ამისადმი ანგარიშის გაწევა არ შეუძლიან მხოლოდ კათოლიკურ დონკიხოტებს. ჩვენ გვეკითხებიან, რის მოგება შეგვიძლიან ამ კონფერენციაზე? ჩვენ ვუპასუხებთ: თამასუქისა სოც.-დემოკრატებზე. იგი მოაწერს ხელს მოთხოვნილებათა მთელ რიგებს, მერე უარს იტყვის მის ასრულებაზე სიტყვით შეიდგმენია ყოველთვის მზად არიან მიემხრონ გაფიცვების თავისუფლებას და სხ., მაგრამ როგორც კი მიადგებიან საქმეს, ისინი ააშკარავებენ თავის ნამდვილ ბუნებას, როგორც ბურჟუაზიის ლაქიები. აი მაშინ წარუდგენთ ჩვენ მათ იმ თამასუქს, რომელსაც ისინი მოაწერენ ხელს სამივე ინტერნაციონალის კონფერენციაზე და გავამხილებთ მათ მასსების წინაშე. ჩვენ არ ვფიქრობთ „მოვატყუოთ“ ამ კონფერენციაზე 2 და 2-ნახ. ინტ. ბელადები, როგორც პიროვნებანი ისინი შეიძლება ჭკვიანი [illegible], კიდევ მეტი, თითქმის ჩვენზე უჭკვიანესი. მაგრამ როგორც მატარებელნი ისტორიული მოძრაობისა, ისინი უტვინონი, სულელი არიან, როგორც ჩვენი კერენსკი. 1917 წ. პლეხანოვი სწერდა მენშევიკებს: „თქვენ ნახევრად ბოლშევიკები ხართ“. ვინაიდან თავიანთ ტაქტიკით ისინი ფაქტიურად ეხმარებოდნენ ჩვენ. ისინი ერთნაირად იყვნენ მოღალატეებით ბურჟუაზიასთან და პროლეტარიატთან. სწორედ ასე დასავლეთ ევროპაში ჰენდერსონები, რომლებიც იმყოფებიან ბურჟუაზიის და პროლეტარიატის შორის, ფაქტიურად იქნებიან ჩვენთვის სასარგებლო. ეს არის მათი „სისულელე“, როგორც ისტორიული კატეგორია, ითამაშებს ჩვენს ხელში. კონფერენციაზე ჩვენს მხარეზე იქნება ისტორიულ განვითარების მსვლელობა: ამაშია ჩვენი ძალა და იმედი.

შემდეგ ამხ. ზინოვიევმა აღნიშნა: „ჩვენ ვიძლევით წინადადებას მთლიან ფრონტის ტაქტიკისა სახელდობრ იმისათვის, რომ განვავითაროთ მასები და განვათავისუფლოთ ისინი ნახევრად—ბურჟუაზიულ და ბურჟუაზიულ წინამძღოლების გავლენისაგან მხოლოდ ამ რიგად შეიძლება ვიქონიოთ წარმატების იმედი. მაგრამ არ შეიძლება დავიწყოთ ბოლოდან და მოვითხოვოთ, თავიდანვე ბელადებთან შეთანხმების გარშემოვლა. სანამ მასები მიდიან თავის ნახევრად ბურჟუაზიულ წინამძღოლებთან. ეს შეუძლებელია“.

ჟურნალ-გაზეთებიდან

რუსეთის კრედიტორების კონკურსი. პარიზში, ბირჟის შენობაში გაიხსნა რუსეთის კრედიტორების კონკურსი. გარდა დიდძალ ფრანგ კრედიტორებისა, კონგრესს დაესწრნენ ინგლისელები, ბელგიელები, შვეიცარიელები, იტალიელები ამერიკელნი და სხვა. ინგლისის კრედიტორების ასოციაციის წარმომადგენელი ცნობილი ურკჰარტი, რომლის მოხსენებამ რუსეთის საქმეთა მდგომარეობაზე შემოიარა მთელი მსოფლიოს პრესა.

კონგრესი გახსნა სენატორ ნულანსმა, რომელმაც მიმართა დელეგაციას და განუცხადა შემდეგი:

„თქვენ ვერ ახდენთ სწორ გამოყოფას რუსეთის ინტერესებისას თქვენ საკუთარ ინტერესებიდან, როცა თხოულობთ, რომ ვალდებულობა და გარანტია წარსულისა იქმნას კრედიტის სა

ეროვნული ბიბლიოთეკა

[illegible] პირობად, რომელიც რუსეთს ევროპაზე თავის მდგომარეობის ასაყვავებლად.“

ასეთს ძირითად პირობებიდან გამოსული სენატორი ნიულანსი აცხადებს, რომ ინგლისის და საფრანგეთის კრედიტორები რუსეთისა თანახმა არიან მასში რომ საბჭოთა მთავრობამ, სანამ ის იქნება დაშვებული კონფერენციაზე გენუაში უნდა მიიღოს კანში შემუშავებული პირობები.

„რაც არ უნდა წამოიწყოს უცხოელთა მთავრობამ, რუსეთის აღსადგენად, —სთქვა ნიულანსმა,—ყველა მათი და კერძო ღონისძიებანი ამაოთ დარჩება, თუ რომ რუსეთში არ იქნა აღდგენილი თავისუფლება ვაჭრობისა და კერძო საკუთრება, რომელიც წარმოადგენს წარმოების ძირითად ფაქტორს. („Общее дело“ № 557)

ევროპის კრედიტორების სურვილები და მიზნები ნათელი არის ყველასათვის „თავისუფალ ვაჭრობა“ და „კერძო საკუთრება“ კაპიტალისტების სასიცოცხლო მოთხოვნილებას წარმოადგენს. გარეშე ამ ფორმულისა მათი მოგების გაფართოვება შეუძლებელია. დღეს ევროპის კრედიტები ამ ფორმების ალაგებზე ოცნებობენ რუსეთში და რუსეთის პრობლემის გადაწყვეტას თავიანთი [illegible] სახით უდგებიან.

მაგრამ სინამდვილე სხვას გვეუბნება და გენუას პოლიტიკოსები იძულებული მდგებიან ანგარიში გაუწიონ ამ სინამდვილეს და გვერდი აუხვიონ „კრედიტორების“ ზრახვებს.

⁂

ბურცევის „ობშეე დელო“ ეხება რუსეთისადმი დამოკიდებულების საკითხს და აღნიშნავს, რომ სამი მიმდინარეობა არსებობს ეხლა საბჭოთა რუსეთის მიმართ. ერთი მიმდინარეობა, ფრიად პოპულიარული საფრანგეთში, ფიქრობს, რომ საბჭოთა მთავრობა არ უნდა იქმნას ცნობილი, სანამ უცხოელი კრედიტორები არ მიიღებენ საჭირო გარანტიას; მეორე მიმდინარეობა იმ შეხედულებისაა, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ დაწყება ვაჭრობისა მოსკოვთან, მიუხედავად მისი თავისებური პოლიტიკური პირობებისა; მესამე მიმდინარეობა გამოდის იმ რწმენიდან, რომ რუსეთის ეკონომიური მდგომარეობა იმდენად ცუდია, რომ წლეები იქნება საჭირო, სანამ შესაძლებელი იქნებოდეს ლაპარაკი ამ მხარესთან ნორმალურ ვაჭრობის დამყარებაზე. სანამ რუსეთში არსებობს რეჟიმი „პროლეტარიატის დიქტატურისა“, როცა ნამდვილად დიქტატორი არის „ჩეკა“ ვერავითარი უცხოელი კრედიტი სარგებლობას ვერ მოიტანს. ამ უკანასკნელი აზრისაა ურკხარტი, რომელიც ერთი მხრით მოქმედობს მუშათა პარტიის გავლენით და, მეორე მხრით, გულწრფელად დარწმუნებულია ინგლისის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებაში რუსეთთან ვაჭრობის განახლების გზით, ლესლი ურკხარტმა შინაგანი ზიზღით დაეთანხმა ლოიდ ჯორჯის მოთხოვნას მოსკოვში წასვლაზე კრასინთან მოსალაპარაკებლად. ამ წინადადების უარისყოფა შეუძლებელი იყო, ვინაიდან ეს იყო ერთად ერთი საშუალება სიმართლის გამოაშკარავებლად. მაგრამ, როგორც ვიცით ეს მოლაპარაკება იქამდე მივიდა, რომ ურკხარტი კიდევ უფრო დარწმუნდა თავის წინანდელ აზრის სისწორეში. ეხლა ყველასათვის აშკარაა, რომ ბოლშევიკებთან დადებულმა სავაჭრო ხელშეკრულებამ არავითარი შედეგი მოიტანა. არისათვის დროა, რომ ინგლისის მთავრობა დაეთანხმოს საფრანგეთის აზრს რუსეთის საკითხში.

როგორც ვიცით, რეზოლიუცია ლონდონის სავაჭრო პალატისა, რომელშიაც პროტესტია გამოთქმული საბჭოთა ხელისუფლების ცნობაზე და მისი წარმომადგენლების მოწვევაზე გენუაში, სანამ მიღებული არ არის ნამდვილი გარანტია, მიღებული იქმნა „რუსეთში ფრანგულის ინტერესების დამცველ კომისიის“ მიერ. ამ ჟამად სრული შეთანხმებაა ინგლისის და საფრანგეთის კრედიტორების წარმომადგენელთა შორის რუსეთში და ურკხარტისა, რომელიც წარმომადგენელია ბრიტანეთის კრედიტორებისა რუსეთში.

ჩვენ არ ვეჭვდებით, რომ ერთიც და მეორეც პირველყოვლისა იცავენ თავიანთ რწმუნებულთა ინტერესებს, მაგრამ სამწუხაროდ ეს ინტერესები არ ეწინააღმდეგებიან რუსეთის ინტერესებს. ჩვენ არ გვაშინებს უცხოელების ვალის გადახდა. გაღატაკებული რუსეთი მას გადაიხდის. ჩვენ გვაშინებს მეორე: სრული მოსპობა პოლიტიკური ძლევამოსილობისა და ჩვენი სამშობლოს ეკონომიური აყვავებისა.

უცხოელი კაპიტალისტები, რომელთაც სურთ უზრუნველყონ თავიანთი კაპიტალი რუსეთში დაბანდებული, იძულებული არიან ღელავენ ისეთი წესწყობილება ჩვენს მხარეში, რომელიც იქნება ერთად-ერთი მხსნელი და გამოსადეგი მთელი რუსეთის ხალხისათვის, ეხლა ჩვენ ვალებს ვერ გადავიხდით მისთვის, რომ ჩვენი ხალხი სიმშილით კვდება. მაგრამ ბოლშევიკების რეჟიმი რომ დამხობილი იყოს რუსეთში, კვლავ დაიწყებოდა ნორმალური ეკონომიური მოქმედება და ჩვენი სამშობლოს უდიდეს ბუნებრივ სიმდიდრესთან ჩვენ ვალებსაც გადავიხდიდით და პირველყოვლისა თვითვე ვიქნებოდით მაძღარნი და ვიცხოვრებდით ჯანსაღი სიცოცხლით.

საბედნიეროდ რუსეთის საკითხის ასე თუ ისე გადაწყვეტა აინტერესებს არა მარტო რუსებს, არამედ მთელ მსოფლიოსაც. ამისათვის ყოველ მხარეში არსებობს ჯგუფები, რომელნიც უშუალოდ დაინტერესებულნი არიან რუსეთის ტრაღედიის, რაც შეიძლება სწრაფად გამოსვლაში. და ინგლისში ლოიდ ჯორჯის გვერდით, რომელიც უქეზებს სპეკულიაციას აწარმოებს სუსტ რუსეთთან, მოქმედობს ურკხარტი, დაინტერესებული ძლიერი რუსეთის აღდგენაში“. Общее дело № 557).

ამ ჟამად ევროპის კაპიტალისტური წრეები დაიბნენ საბჭოთა რუსეთის საკითხის გარშემო. ევროპის ასეთი დაქსაქსვა ნოყიერ ნიადაგს ჰქმნის საბჭოთა რუსეთის პოლიტიკის გამარჯვებისათვის. რუსეთის ემიგრანტები დიდ უხერხულ მდგომარეობაში სდგებიან შექმნილი პირობებით. მათ ეცლებათ ფეხქვეშ ნიადაგი და წყალ წაღებულივით ხავს ეკიდებიან. ბურცევის ტიპის ემიგრანტები დღეს ასეთს ხავსზე არიან ჩამოკიდებულნი.

უცხოეთი

მთლიანი პროლეტარული ფრონტი.

ბერლინი. 7 მარტი. „ახალი ქვეყანა“, ეხება რა საფრანგეთში მთლიან პროლეტარულ ფრონტის საკითხს, სწერს: „საკითხმა მთლიან პროლეტარულ ფრონტის შესახებ გამოიწვია ერთგვარი გაუგებრობა საფრანგეთის კომუნისტების შორის. საქმე იმაშია, რომ საფრანგეთის სოციალისტური პარტიამ დიდი ხანი არაა რაც განიცადა განხეთქილება და კომუნისტებს უკვე [illegible] ბრძოლის წარმოება იმ ელემენტებთან, რომლებიც [illegible] ერთგვარი მიზიდულობას სოციალისტურ პარტიებისადმი, რომლებიც მოსწყდნენ განხეთქილების შემდეგ რევოლიუციონურ მარქსიზმის იდეას. ამიტომ ამ პარტიის ზოგიერთი წევრები, როგორიცაა ფროსარი და კაშენი, ფიქრობენ, რომ მთლიან ფრონტზე შეიძლება გამოიწვიოს აზრი იმის შესახებ, რომ კომუნისტები სცდილობენ სოციალისტებთან ორგანიზაციულ მთლიანობას, და არა შეთანხმებას ზოგიერთ საკითხებზე საერთოდ გამოსვლისათვის, როგორც ამას გულისხმობს მთლიანი პროლეტარული ფრონტის იდეა. ირკვევა ასეთი შეჯგუფება. მთლიან პროლეტარულ ფრონტს უმთავრესად [illegible] ლორიო და სუვარინი, წინააღმდეგი არიან ფროსარი, კაშენი და სხ. იმ იდეურ დაქსაქსვას სცდილობენ გამოიყენონ სოციალისტებმა. ამაზე პასუხს იძლევა ფროსარი „იუმანიტეში“, რომ სოციალისტების კონფლიქტში [illegible] საფრანგეთის კომუნისტების შორის—უსაფუძვლოა: „ჩვენ შეგვიძლია დამოუკიდებლად განვიხილოთ საკითხისა მთლიან ფრონტის შესახებ; მაგრამ როდესაც საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის უმაღლესი ინსტანცია—III ინტერნაციონალი იტყვის თავის უკანასკნელ სიტყვას, ჩვენ დავემორჩილებით. ამ გადაწყვეტამდე კი ჩვენ ვიცავთ ჩვენს პოზიციას და არავის შეუძლია გვესაყვედუროს ის, რომ ჩვენ ვაწარმოებთ ბრძოლას ინტერნაციონალის წინააღმდეგ. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ვეკუთვნით ამ ინტერნაციონალს და ავასრულებთ ჩვენზე დამყარებულ მოვალეობებს“. მეორე წერილში „იუმანიტე“ გარკვევით აღნიშნავს, რომ პასუხისმგებელ კომუნისტების უკანასკნელ სხდომაზე, მიუხედავად ყოველგვარ აზრთა სხვა და სხვაობისა, ყველა შეთანხმდა იმით, რომ საჭიროა [illegible] ბრძოლის წარმოება იმ სოციალისტების წინააღმდეგ, რომლებმაც უღალატეს პროლეტარიატის საქმეს“.

მიუღებელი მოთხოვნა.

ნაუენი. 14 მარტი, გერმანიის პრესა გადაჭრით აცხადებს, რომ საფრანგეთის მოთხოვნა 1921 წ. მობილიზაციით გამოწვეულ ხარჯების გადახდის შესახებ, შეუწყნარებელია არც მორალურის, არც მატერიალურის მხრით. გაზეთები მოითხოვენ, რათა კატეგორიული პროტესტით გამოვიდეს გერმანიის მთავრობა ასეთ მოთხოვნის წინააღმდეგ და უარი განაცხადოს მისი ასრულებაზე.

ახალი სამრეწველო კრიზისი

ჰანოვერი. 3 მარტი, „ობსერვერი“ იუწყება: ინგლისი სდგას სამრეწველო კრიზისის წინაშე, ვინაიდან მანქანების აღმშენებლებმა გამოაცხადეს საერთო „ლოკაუტი“. ეშინიან ლოკაუტისა გემთაშენების წარმოებაში.

ანტანტის ფინანსიურ შეთანხმებისათვის

ნაუენი. 14 მარტი, პარიზიდან ოფიციალურად იუწყებიან, რომ ანტანტის ფინანსთა მინისტრებმა მიაღწიეს სრული შეთანხმებას გერმანიის მიერ საკონტრიბუციო ვალების გადახდის საკითხში. ფინანსთა მინისტრები ერთხმად შეთანხმდნენ იმაში, რომ მხოლოდ საკონტრიბუციო კომისია სავსებით კომპეტენტიურია საკონტრიბუციო საკითხებში. კომისიას მიეცემა მკაცრი და განსაზღვრული დირექტივები. კომისიამ დაუყოვნებლივ უნდა გამოარკვიოს გერმანიის უნარი ვალების გადახდაში ან გერმანიის ფინანსების მოწესრიგებით და მასზე ნამდვილ კონტროლის დაწესებით, ან გერმანიისთვის საერთაშორისო სესხის გახსნით, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება საბაჟოები, მადაროების და სხვებისაგან შემოსავლით.

„მატენი“ ამ ცნობას უმატებს, რომ საოკუპაციო ხარჯები დაფარული იქნება ერთნაირ ღირებულებებით და არა ოქროს მარკებით. გერმანია ვალდებულია აგრეთვე დაფაროს ხარჯები 1921 წ. მაისში საფრანგეთში მომხდარ მობილიზაციისა. ამ ხარჯების ჯამი განსაზღვრულია 100 მილ. ფრანკით.

„ეკო დე პარი“ თავის მხრით აღნიშნავს, რომ ფინანსთა მინისტრების მიერ დამტკიცებულია გერმანიის ვალების ჯამის ურყეობა, რომელიც გამოხატულია ექსპერტების მიერ ჯერ კიდევ იანვარში 720 მილ. ოქროთი.

ჰავასის სააგენტო თავის მხრით იუწყება საკონტრიბუციო კომისიის კომპეტენციის გაფართოების და გერმანიის ფინანსიური ადმინისტრაციაზე ფაქტიური კონტროლის დაწესების უფლების შესახებ.

თავდასხმა იოგანესბურგზე.

ლონდონი. 14 მარტ. შაბათს, გაფიცულ მემადნეებმა მოახდინეს თავდასხმა იოგანესბურგზე (სამხრეთ აფრიკა). მუშებმა წინ შემოავლეს ქალაქს სამ მხრივ და, შეეცვივდნენ რა შიგ, შეებრძოლენ ჯარს. მოკლულია 200 კაცი, დაჭრილია 1,000-ზე მეტი.

მთავრობის „გამარჯვება“.

ბერლინი. 14 მარტ. „ლოკალ ანცეიგერის“ ცნობით, სამხრეთ აფრიკაში მთავრობის ჯარებმა „გაიმარჯვეს“. წამოყვანილია ტყვედ 500 მუშა—გაფიცულები.

ბორდო, 14 მარტი. „ტაიმსის“ ცნობების მიხედვით, გაფიცულების თავდასხმა იოგანესბურგზე მოგერიებულია მთავრობის ჯარების მიერ. ორივე მხარე დაზარალდა დიდად.

ჰანოვერი, 14 მარტი. ლონდონიდან მოსულ ცნობებით ინგლისელებმა ახალ ძალების მომატების წყალობით, [illegible] მდგომარეობა კანსკის ოლქში 10, 11 და 12 მარტში შეჯახების დროს მოკლულია 200 კაცზე მეტი. მთავრობის ჯარების სარდლობა მიენდო გენერალ ვანდევენტერს, რომელმაც თავი გამოიჩინა ბურების ბრძოლაში.

რომი, 14 მარტი, საბჭოთა ჯარებმა დაიკავეს ვლადივოსტოკი. მერკულოვის მთავრობა ჩამოგდებულია. თვითონ მერკულოვი გაიქცა.

მოწერილი ამბები

ქ. ზუგდიდი. მარტის 7-ს ქ. ზუგდიდში მაზრის სოფლების რწმუნებულთა ყრილობაზე, არჩეულ იქნა ზუგდიდ-სამურზაყანოს სამეურნეო კოოპერატიული ამხანაგობის „თანდონის“ გამგეობა. ამხანაგობას განუზრახავს: 1) პირველ ყოვლისა თხილის, დაფნისა და შემდეგ სხვა სამეურნეო ნაწარმოებთა კულტურის გაუმჯობესება, 2) წარმოების განთავისუფლება ვაჭრების და ყოველგვარ მუამავლებისაგან, 3) ნაწარმოების გასაღება საუკეთესო პირობებში, როგორც საქართველოში, ისე საზღვარ გარეთ და 4) მიწოდება მეურნეთათვის საჭირო სამეურნეო მასალების და საგნების. ამხანაგობის მოქმედების ცენტრად მიჩნეულია ქ. ზუგდიდი, სადაც იქნება მისი მთავარი საწყობი, თავის განყოფილებებით სხვა და სხვა პუნქტებში, როგორც მაზრის ფარგლებში, ისე სხვა მაზრებშიაც.

დაწყებული საქმე ფრიად სიმპატიურია. ამხანაგობის მუშაობის დღიურ წესრიგში დასმულია სერიოზული და დასავლეთ საქართველოს მეურნეობისათვის დიდად საჭირბოროტო საკითხები და ამისათვის ამ ამხანაგობის აღმოცენება, როგორც კოლექტიურ-სოციალისტურ მეურნეობის ჩანასახი, უსათუოდ პროგრესიული მოვლენად უნდა ჩაითვალოს მთელი ჩვენი რესპუბლიკის აწეწილი ეკონომიური ცხოვრების აღორძინების საქმეში. ამხანაგობის მუშაობისაგანაა დამოკიდებული, „თუ რამდენად შესძლებს ის თავი დააღწიოს იმ არასასურველ მოვლენას, რომლითაც შეპყრობილია ჩვენი კოოპერატივები და თუ „განებავთ „თან-დონი“-ს ტიპის ზოგიერთი ორგანიზაციებიც, რომელნიც ძალაუნებურად გაეხვიენ სპეკულიაციის ქსელში, მაგრამ ჩვენ მაინც გვგონია, რომ თუ მთავრობამ, როგორც ასეთი, არ შეხვდა ამ საქმეს სათანადო თანაგრძნობით, თუ არ აღმოუჩინა მას თავის ფართე დახმარება, ეს ორგანიზაცია, როგორც ახალი დაწყებული დღევანდელ მძიმე ეკონომიურ პირობებში, მოკვდება თავისი ბუნებრივი სიკვდილით. როგორც გავიგეთ გამგეობას გაუგზავნია მთავრობასთან თავისი რწმუნებული, რათა მიიღოს სათანადო ნებართვა სასოფლო მეურნეობის ნაწარმოების და სხვა საგნების გატანის და შემოტანის. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამხანაგობის მოლაპარაკება მთავრობასთან ჩაივლის სასურველად და სასოფლო სამეურნეო ნაწარმოების გატანის საქმე, განსაკუთრებით სამეგრელოდან, რამოდენიმედ მაინც იქნება მოწესრიგებული.

ჩვენ ვუსურვებთ „თან-დონი“-ს საზოგადოებას საჭირო უნარის გამოჩენას და მიზან შეწონილ მუშაობას იმ საპასუხისმგებლო დარგში, რომლის მესვეურობა აუღია მას. ვუსურვებთ მას დაძლევას და გადალახვას ყველა იმ პირობების, რომელნიც ხელს უშლიან საერთოდ კოოპერატიულ მოძრაობას ჩვენში და საქმის წაყვანას ისე, რომ თან არ ახლავდეს სპეკულიაციის აჩრდილი.

შან შენ.

თეატრი და ხელოვნება

„ჰამლეტი“.

15 მარტს რუსთაველის თეატრში რუსულმა დრამამ ვიქტორ პეტიპას საბენეფისოდ დადგა შექსპირის „ჰამლეტი“.

ვიქტორ პეტიპა წმინდა წყლის კომედიური მსახიობია. ფრანგის ამპლუით. ფრანგული სკოლა და კარგი ტეხნიკა აქვს. მსახიობმა დიდი შეცდომა დაუშვა რომ მეტად შეუფერებელ როლში გამოვიდა. ჰამლეტი ტრაგიული გმირია და მისი განსახიერებაც მხოლოდ დიდი ტრაგიზმით უნდა იყოს განათებული. ჰამლეტის როლისთვის ვ. პეტიპას არავითარი რესურსები არ მოეპოვება. სიმართლე რომ ვთქვათ, ვ. პეტიპა მაინც და მაინც არ არის პირველ ხარისხოვანი მსახიობი. იგი ეპიგონია თავის სახელგანთქმულ არტისტიულ ოჯახისა. და იმისთანა მძიმე ტვირთის აღება როგორც ჰამლეტის როლია ვერავითარ შემთხვევაში ვერ იქნება გამართლებული.

ყოველმა მსახიობმა უნდა იცოდეს ერთი რამ: ჰამლეტის—განსახიერებისთვის საჭიროა ჯერ ერთი ის, რომ უნდა იყო დიდი მსახიობი, დიდი არტისტიული ინსტინქტით და ვულკანიური ტემპერამენტით მეორე: არც დიდი მსახიობობა კმარა ჰამლეტის სახის სრულყოფისთვის. საჭიროა კიდევ მსახიობის გარდა იყო დიდი ესტეტი, ფილოსოფიური ერუდიციით. მსახიობმა უნდა გამოიმუშაოს ერთი ლოზუნგი: მხოლოდ დიდი თეატრალური კულტურა, დიდი არტისტიულობა, დიდი ესტეტიური განცდა, პოეტური გრძნობა და ფილოსოფიური ერუდიცია უნდა გქონდეს რომ გაბედო და შეასრულო ჰამლეტი.

უნდა აღვნიშნო რომ ჰამლეტის ტიპი დღემდის საიდუმლოებით არის მოცული იგი ერთადერთ სფინქსად [illegible] მის გამოსაცნობად არა ერთი მსახიობი წამდგარა რამპის წინ.

ყოველ მსახიობისთვის [illegible] ლა და ხარისხი არის მისი [illegible] თუ დამარცხების [illegible] ჰამლეტის და ჰამლეტის „ყოფნა არ ყოფნა“ ხშირად მსახიობის „ყოფნა არ ყოფნად“ გარდაიქცევა.

არამც თუ სცენისთვის არის დღემდის „ჰამლეტი“ გამოუცნობი, არამედ მსოფლიო ლიტერატურაშიაც არ მოიპოვება ნამდვილი სწორე გაგება.

ბევრმა კრიტიკოსმა სრულიად გზა აუბნია მსახიობებს. საქმე იმაშია, რომ უმრავლესი კომენტატორები ჰამლეტს სახავდნენ როგორც შურის მაძიებელ გმირს, სუსტ ნებისყოფის პატრონს, მოკლებული ტემპერამენტის და ენერგიის ადამიანს. მე გაზეთის ვიწრო ფურცლებზე სავსებით ვერ ავსახავ ჰამლეტის ვინაობას, მაგრამ ვიტყვი, რომ ასეთი შეხედულება ტრაგედიაზე და მის გმირზე დიდი შეცდომაა, შექსპირმა ჰამლეტი დაგვიხატა არა შურის მაძიებელი, არამედ მეცნიერი. შურის-ძიება ტრაგედიაში არის მხოლოდ ინტრიგა და თვით ტრაგედია შურისძიების თემაზე კი არ არის აშენებული, როგორც ბევრი ფიქრობს, არამედ ფილოსოფიურ ერუდიციაზე. ტრაგედია „ჰამლეტი“ არის ტრაგედია ადამიანის აზრის. და თვით ჰამლეტი არის ტიპი მხოლოდ და მხოლოდ მსოფლიოს ახალ შემეცნების, აზრის მატარებელი, იმ შემეცნების რაც მსოფლიოში მოხდა დიდი კოსმიური გარდატეხა და იშვა ადამიანი—[illegible] ინდივიდუალიზმის.

ჰამლეტის გოდება—ეს მსოფლიოს გოდებაა და მისი „ყოფნა არ ყოფნა“ რომ დღეს მთელი კაცობრიობის „ყოფნა არ ყოფნაა“ და იქნება ჰამლეტი არასოდროს არა ყოფილა ისე თანადროული როგორც დღეს.

მაგრამ რა მხრით უნდა იყოს დღეს ჩვენთვის საინტერესო „ჰამლეტი?“ „ჰამლეტს“ უნდა დიდი ტრაქტოვკა და ისეთი უცხო დადგმით და შესრულებით როგორც ეს რუსულმა დრამამ ჩაატარა უკვდავი შექსპირის ტრაგედია ეს ყველად მიუღებელია.

ვ. პეტიპას ჰყავდა ჰამლეტი ნევრასტენიკი, სუსტი ნებისყოფის. ჩვენ წინ პეტიპას ნაცნობი სახე იდგა როსტანის „არწივის შვილიდან“ და მართლაც ნამდვილი ახალი იყო პეტიპა. [illegible] უადგილო ყვირილი ხმადვილი სცენიური პროფანაციის გამოხატვა იყო. პეტიპას სრულიად არ [illegible] ჰამლეტი. ჰამლეტის აზრების გადმოცემის ადგილები სრულიად ყალბად ჟღერდა. უნიჭური იყო მესამე მოქმედებაში. ბიძის მკვლელის გამხილების შემდეგ, იქ სადაც ჰამლეტი [illegible] წარმოდგენა „გონზაგოს სიკვდილის“ მერე პეტიპა ნამდვილ კომედიანტად გარდაიქცა და ის დარიგება ჰამლეტი რომ აძლევს მსახიობებს დრამატიულ ხელოვნების შესახებ კარგი იქნებოდა თვით პეტიპას შეესწავლა წინასწარ ან პატივი ეცა შექსპირისთვის და სრულიადაც არ გამოსულიყო ჰამლეტის როლში. შემდეგ მოსდევს სცენა დედასთან. სცენა მეტად ძლიერი. ტრაგიზმით ავსებული. აქ ჩანს ჰამლეტის გულის წყლულები. საშინელი ირონია და დიდი სულის ღელვა. მაგრამ პეტიპამ იყვირა იმდენად, რომ ხმაც ჩაუწყდა. [illegible] ხელები მუცელზე [illegible] და ისეთი [illegible] სცენაზე რაიც დასაშვები არა არამც თუ „ჰამლეტს“-ში, არამედ თუ გნებავთ რომელიმე ფარსშიაც.

სასაფლაოს სცენა ელეგიურ ტონის მაგივრად მხოლოდ უბრალო სანტიმენტალობით ჩაატარა. უკანასკნელი სცენა ჰარმონიის მაგივრად დისჰარმონიად გადაიქცა.

უხერხულ მდგომარეობაში ვართ ჩვენ იმ დროს, როდესაც მსახიობი ასეთი უპატივცემლობით ეპყრობა იმას, რაც ყველასათვის ძვირფასი და ხელშეუხებელია.

ჰამლეტზე ბევრი რამ ითქმის მაგრამ ადგილი და დრო ამის ნებას არ გვაძლევს.

დანარჩენ შემსრულებლებზედაც კარგი არა ითქმის რა. ყველანი მოუმზადებლები იყვნენ, მაგრამ ვიქტორ პეტიპაკი მგონი დიდი კმაყოფილი დარჩა თავის წარმოდგენით. ახალგაზრდობამ ოვაციები გაუმართა. ყვავილები აყარა მსახიობს...

და „დუშკა“ პეტიპაც ყველას კოცნას უგზავნიდა.

მაგრამ საკითხავია. რა საერთო ჰამლეტის ვიქტორ პეტიპას და ტფილისის ზოგიერთ ახალგაზრდობის შორის?...

ვახტანგ [illegible].

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— მთავარი კომიტეტი